

მთავრობამ მოსახლეობის გაყვლეფის ახალ მეთოდს მიაგნო

გაზეთი “ახალი თაობა”, 1 ივნისი, # 148, 2007

ინტერვიუ პარლამენტარ ლადო პაპავასთან

- ბატონო ლადო, რევოლუციური ხელისუფლება მოსვლის დღიდან გადასახადების ლიბერალიზაციაზე საუბრობს, თუმცა ბოლო პერიოდში არაერთი საწინააღმდეგო ნაბიჯიც გადაიდგა. როგორ შესაფასებდით ახალი საგადასახადო კოდექსის შემდგომ განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს?

- საერთოდ უნდა ითქვას, რომ რევოლუციის შემდეგ უდიდესი დამსახურება საქართველოს მთავრობისა იყო საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა, როდესაც ქვეყანაში იყო ასეულობით მილიონი ლარის სახელფასო და საპენსიო დავალიანება, რაც წელიწადნახევარში დაიფარა. 2004 წელს, როდესაც გადასახადების მობილიზებაში ფანტასტიური ნახტომი იქნა გაკეთებული, მოქმედებდა ძველი საგადასახადო კოდექსი და არა ახალი, რითაც მთავრობამ აჩვენა, რომ ჰქონდა გადასახადების აკრეფის პოლიტიკური ნება და ამ ვითარებაში მრავალი წლების განმავლობაში გაკრიტიკებული და ყველას მიერ მოძულეებული საგადასახადო კოდექსი სულაც არ აღმოჩნდა ხელისშემშლელი. სწორედ ძველი საგადასახადო კოდექსით გამოიყვანა მთავრობამ ქვეყანა საბიუჯეტო კრიზისიდან. საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციის მუხლები უკავშირდება ზურაბ ჟვანიას სახელს. მე ვიცი რამდენი წინააღმდეგობა ჰქონდა მისივე მთავრობაში ზურაბ ჟვანიას მაშინ მინისტრებისგან, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საშემოსავლო გადასახადის ერთიანი განაკვეთის შემოღებას და მის დაყვანას 12%-მდე. ეს ხალხი დღესაც მთავრობაშია. ცნობილი იყო, რომ მავანს და მავანს ერჩივნა ყოფილიყო “კაკო ყაჩაღის პრინციპით” აგებული საგადასახადო კოდექსი, ანუ “მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს” პრინციპით. ჟვანიას დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან პრინციპულად დააყენა საკითხი, რომ ყოფილიყო საშემოსავლო გადასახადის ერთიანი განაკვეთი და ისიც საკმაოდ დაბალ დონეზე. ზურაბ ჟვანიას სახელთან არის დაკავშირებული კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის დაკანონებაც, რომელიც ჟვანიას გარდაცვალებისთანავე გაუქმდა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული ხედვა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების თაობაზე დაკავშირებული იყო ჟვანიას სახელთან. რაც შეეხება შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, მე ნამდვილად არ ვიტყვი, რომ დღეს საერთო საგადასახადო ტვირთის ზრდაზეა საუბარი. რაც შეეხება იმას, რომ ლიბერალიზაციის პროცესიდან ხელი არ აქვთ აღებული, ეს გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ ახლახან შემოიტანეს ცვლილებათა პროექტი საგადასახადო კოდექსში, სადაც გათვალისწინებულია მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება 20-დან 15%-მდე. საერთოდ საგადასახადო ტვირთის კონტექსტში თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, სოციალური და საშემოსავლო გადასახადების გაერთიანება წმინდა ფორმალურად ასევე შეიძლება შევაფასოთ როგორც ლიბერალიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი.

- რატომ?

- სანამ ჯერ კიდევ გვაქვს სოციალური გადასახადი 20% და საშემოსავლო გადასახადი 12%, ისინი ერთობლივად გადასახდის ტვირთის თვალსაზრისით 26,7%-ია. რაც ასე აიხსნება: დღეს ყოველ 100 ლარს მეწარმემ უნდა დააარიცხოს 20 ლარი სოციალური გადასახადის სახით, ხოლო 100 ლარიდან საშემოსავლო უნდა იქნეს გადახდილი 12 ლარის ოდენობით, ანუ სულ ბიუჯეტში მიდის 32 ლარი, ეს 32 ლარი მიდის 120 ლარიდან, ხოლო ამ უკანასკნელისათვის 32 ლარი 26,7%-ა. ამას იმიტომ ვმიფრავ ასე დეტალურად, რადგანაც ხშირად უშვებენ შეცდომას, როცა სოციალურ გადასახადს 20%-სა უმატებენ საშემოსავლო გადასახადს 12%-ს და აცხადებენ, რომ დღეს მათი ერთიანი საგადასახდო ტვირთი 32% არისო. არა ბატონო, 20 და 12 არ იკრიბება! ის რის შემოღებას აპირებს დღეს მთავრობა ისაა, რომ სოციალური გადასახადი გაუქმდეს, ხოლო საშემოსავლო გადასახადი გახდეს 25%. რადგან ის ერთია, ზოგადად ახალი საგადასახდო ტვირთი ასევე იქნება 25%. მაშასადამე მთლიანობაში საგადასახდო ტვირთი 26,7%-დან 25-მდე უნდა შემცირდეს. ესეც ფორმალურად ლიბერალიზაციის კონტექსტშია მოქცეული, მაგრამ ცუდი ამაში ისაა, რომ საერთო საგადასახდო ტვირთის მიზერული შემცირების პირობებში, მთელი ტვირთი ორჯერ და უფრო მეტად დააწვება დაქირავებულს, ფიზიკურ პირს, რისგანაც თავისუფლდება დაქირავებელი. ეს, ჩემი აზრით, გაუმართლებელია! მთავრობის მიერ მთელი საგადასახდო ტვირთის გადატანა დაქირავებულის და ფიზიკური პირის კისერზე მოსახლეობის გაყლევების ტოლფასია.

- კი მაგრამ, მთავრობა ხომ აცხადებს, რომ რომ მეწარმეები გამოთავისუფლებულ თანხებს ან ხელფასების ზრდას მოახმარენ და ამით დაქირავებულთა მდგომარეობა არ გაუარესდებაო, ან კიდევ დასაქმებულთა რაოდენობას გაზრდიანო...

- ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ სოციალური გადასახადი ზღუდავს დასაქმებას, ამიტომ ამ გადასახადის გაუქმება არის აუცილებელი, თუმცა არა საკმარისი პირობა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თითქოსდა მეწარმეები სოციალური გადასახადის გაუქმებით მიღებულ შემოსავალს დაახარჯავენ დაქირავებულებს, გაზრდილი საშემოსავლო გადასახადით გამოწვეული დანაკარგის კომპენსაციის მიზნით სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს მართლაც ასე მოხდეს. მთავრობას შეუძლია ეს გააკეთოს, და სავარაუდოდ გააკეთებს კიდევ ამას ხსენებული დანაკარგის კომპენსაციის მიზნით საბიუჯეტო სექტორში, რამეთუ ამ შემთხვევაში დამქირავებელი თავად სახელმწიფოა, მაგრამ ამის გაკეთებას კერძო სექტორს ნამდვილად ვერ უბრძანებს. მეწარმეს შეუძლია ეს გამოთავისუფლებული თანხა უხეშად რომ ვთქვათ სულაც ჯიბეში ჩაიდოს, რამეთუ ის მისი საკუთრებაა... ხოლო თუ მეწარმე მაინც გადაწყვეტს ეს გამონთავისუფლებული თანხა ისე დაახარჯოს დაქირავებულს, რომ მისი ხელფასი არ შემცირდეს, მაშინ ზემოთმოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე იმისათვის რომ დაქირავებულმა კვლავ მიიღოს 88 ლარი 25%-იანი საშემოსავლო გადასახადის პირობებში, დამქირავებელმა მას ხელფასის სახით უნდა გამოუწეროს 117,3 ლარი. მაშასადამე თუ დღეს დამქირავებელი 120 ლარს ხარჯავს იმისათვის, რომ დაქირავებულმა მიიღოს 88 ლარი, ამ ცვლილების შემდეგ დამქირავებელმა იგივე შედეგის მისაღებად უნდა დახარჯოს 117,3 ლარი, ანუ მისი ეკონომია 120 ლარზე იქნება მხოლოდ 2.7 პროცენტული პუნქტი; სხვა სიტყვებით “კეთილი” დამქირავებელი, რომელიც იზრუნებს იმაზე, რომ დაქირავებულთა მდგომარეობა არ

გაუარესდეს ყოველ ერთ ლარზე მიიღებს მხოლოდ 2 თეთრ ეკონომიას, რაც ძნელია შეფასდეს როგორც ხელშესახები ლიბერალიზაცია!

- რატომ დადგა დღის წესრიგში ამ გადასახდის ასეთი სახით ფორმულირება?

- მთავრობას სურდა გადაედგა მორიგი ნაბიჯი ლიბერალიზაციის მიმართულებით, მაგრამ საკმაოდ მცდარი ნაბიჯი გამოუვიდა. ყველა არგუმენტი, რომ საშემოსავლო გადასახადსაც იხდის მეწარმე, ეს არის უბრალოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. საშემოსავლო გადასახადს იხდის დაქირავებული, ხოლო დამქირავებელი მის ადმინისტრირებას ახორციელებს.

- გაადვირებს თუ არა იგივე ბაზარზე საქონელს ეს ცვლილება?

- ეს ცვლილება პირველ რიგში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლების კლებას. ეს კი თავის მხრივ ფასების უცვლელობის პირობებშიც კი მათ სოციალურ მდგომარეობას გააუარესებს.

- სამართლიანია ოპოზიციის კრიტიკა აღნიშნულ გადასახადთან დაკავშირებით?

- ჩემთვის ამ შემთხვევაში ნაკლებად საინტერესოა რას იძახის ოპოზიცია, თუ უმრავლესობა. ჩემთვის მთავარია რა არის სწორი. სწორი კი ის არის, რომ ამის გაკეთება ასეთი მექანიზმით გაუმართლებელია, რამეთუ დამქირავებელს კი უმსუბუქდება ტვირთი, მაგრამ დაქირავებული იჭყლიტება. ჩემი აზრით უკეთესი ვარიანტი იქნებოდა 20%-იანი საგადასახდო განაკვეთი ჩამოგვეწია 12%-ზე, ხოლო საშემოსავლო დაგვტოვებინა იმავე 12%-ის დონეზე. ამ შემთხვევაში საერთო საგადასახდო ტვირთი იქნება 21,4%. ეს რა თქმა უნდა დამქირავებელს აძლევს დამატებით თავისუფალ რესურსს და იმავდროულად არ აუარსებს დაქირავებულთა სოციალურ მდგომარეობას.

- ბატონო ლადო, სოციალური გადასახდის გაუქმება ურტყამს თუ არა საპენსიო თანხებს?

- არ ურტყავს და გეტყვით რატომ. ცნობილია, რომ სოციალური გადასახადი ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება სოციალური ფონდების დასაფინანსებლად, და იქიდან სახელმწიფო პენსიების გასაცემად. ჩვენთან დღეს ეს ფონდები უკვე გაუქმებულია, ამიტომ სოციალური გადასახადი არანაირად არ განსხვავდება თავისი ხარჯვითი ბუნებით სხვა ნებისმიერი გადასახადისგან. დღეს თქმა, რომ ამ გადასახადის შემცირება ან საერთოდ გაუქმება, უშუალოდ აისახება პენსიაზე, არასწორი იქნება.

- ანუ პენსიების შემცირებას არ უნდა ველოდოთ?

- მთავრობა პენსიების შემცირებას არ დაუშვებს. პირიქით, მთავრობას აქვს რეალური დაკვეთა საზოგადოებისაგან, რომ პენსიები გაზარდოს.

- რამ განაპირობა ახალი გადასახადების შემოღება, ბიუჯეტს ხომ არ გაუჭირდა?

- არა, ამით უფრო მეტ თანხას ნამდვილად ვერ ამოიღებ. მე უფრო მგონია, და სამწუხაროდ ხშირად ასეცაა ხოლმე, რომ რაღაც დაუფიქრებელი წინადადება ჩამოყალიბდება, პოლიტიკურად მაღალ დონეზე გაქვრდება და მერე უკან დასახევი გზა აღარ რჩება...

- ანუ კონკრეტული პირის ახირებას მიჰყვება უმრავლესობა?

- მოდით ასე ვთქვათ: ვიღაცამ დაუწერა ეს ტექსტი პრეზიდენტს თავის წლიურ მიმართვაში პარლამენტში გამოსვლისას და ის ამით შეცდომაში შეიყვანა, როცა ათქმევინა თითქოსდა ეს რაიმე სერიოზულ ლიბერალიზაციას ნიშნავდესო...

- თუ არა საბიუჯეტო პრობლემები, რატომ ჩნდება ახალახალი მოსაკრებლები?

- მოსაკრებლების წინააღმდეგი არ შეიძლება ვიყოთ, ოღონდ ისინი იმ ოდენობისა უნდა იყოს, რომელიც მოსახლეობას მძიმე ტვირთად არ დააწვეს. მოსაკრებელი ინსტრუმენტია მთავრობის ხელში, მაგრამ ამან არ უნდა დაახრჩოს არც ბიზნესი და არც მოსახლეობა. მეორეც, არ უნდა იყოს ისეთი ოდენობის, რომ გერჩივნოს მუდმივი გადასახადი არსებობდეს, ვიდრე ერთჯერადი მოსაკრებელი, რომლის გადახდის თავიც ბევრს არა აქვს.

- ზემოთ რომ ახსენეთ, დღეს ბიზნესი იხრჩობა?

- ეს გამოთქმა სწორის არ არის. არის ბიზნესის გარკვეული წარმომადგენლები, რომლებიც პირიქით, იფურჩქნებიან და ძალიან კარგ მდგომარეობაში არიან. ეს როგორც წესი ეხება “ზემსხვილ” ბიზნესს - ბიზნეს-ელიტას. ამ უკანასკნელისათვის მოქმედებს ე.წ. “გუსინსკის ეფექტი”: მთავრობა იმ შეცდომას არ გაიმეორებს რაც რუსეთში მოხდა გუსინსკის წინააღმდეგ, ანუ არც ერთ შემთხვევაში არ შეუტევს ბიზნეს-ელიტას. თუმცა გული მწყდება, რომ მართლაც გარკვეული პრობლემები აქვს შექმნილი მასობრივ ბიზნესს. ეს უწინარეს ყოვლისა გამოიხატა საკუთრების უფლების დარღვევასთან მიმართებაში. თუმცა აქაც არ მინდა ვიყოთ ბოლომდე პესიმისტები, რადგან გაიჟღერა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მზად არის და მომზადდა კიდევ კანონპროექტი საკუთრების უფლების დაცვის შესახებ. ვისურვებდი რაც შეიძლება მალე ამოქმედდეს კანონი, როცა თავს დაცულად არა მარტო ბიზნეს-ელიტა, არამედ რიგითი ბიზნესმენიც იგრძნობს.

- ბატონო ლადო, ხელისუფლება აცხადებს, რომ კორუფცია და ე.წ. ბიზნეს-კრიზიზიზანა მოისპო. ასეა?

- მოისპო მასობრივი კორუფცია. ვიცი, რომ არ დაგვხვდება პოლიციელი და არ დაგვიწყებს 2 ლარის გამოძალვას. მაგრამ როცა სასამართლო არ არის თავის დონეზე, ანუ როდესაც ხელშეკრულებითი სამართალი ხშირად ირღვევა, ლაპარაკი იმაზე, რომ კრიზიზიზანას თემა სრულად მომსპარია, ძალზედ ძნელია...

შორენა კოწოწაშვილი